საქმე # 210100120003579339
saqme #1/66-20წ.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

საქართველოს სახელით

28 აპრილი, 2020 წელი ქ. სიღნაღი

სიღნაღის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე გიორგი ბუხრაშვილმა,
ნათია რიკაძის მდივნობით,

პროკურორ - გ------- ნ----------,
ბრალდებულ - ტ----- ს----------,
ადვოკატ - მ--- წ----------

მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე №033020320001

ტ----- ს---------- მიმართ

მოქალაქეობა - საქართველოს მოქალაქე
პირადი ნომერი - 3----------
დაბადებული - 3-.--.1--- წელი
განათლება - ა---------- ს---------- განათლების მქონე
ოჯახური მდგომარეობა - დასაოჯახებელი
ნასამართლობა - ნასამართლობის არ მქონე
რეგისტრირებული: ქ. ს----------, მ----- კ--------- ქ. №--, ბინა №--.
ფაქტობრივად მცხოვრები: ქ. ს----------, მ----- კ--------- ქ. №--, ბინა №--.

პასუხისგებაში მიცემის მუხლი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ გონივრულ ეჭვს

მიღმა დადგენილად ცნო, რომ **ტ----- ს-------–---–--** ჩაიდინა ხულიგნობა, ესე იგი, ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპასუხისმგებლობას, ჩადენილი ძალადობით. ასევე, ხულიგნობა, ესე იგი, ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპასუხისმგებლობას, ჩადენილი ძალადობით ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირების მიმართ.

მის მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ბრალეული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- 2020 წლის 1 მარტს, დაახლოებით 22:30 საათზე, ქ. ს----------, კ------- გ---------–--- №---ში მდებარე შპს „----------–-----ს კლინიკის ფოიეში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ტ----- ს----------–– უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. კერძოდ, იგინებოდა ხმამაღლა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა იქ მყოფ მოქალაქეებს, რის შემდგომაც, სახეში ხელის დარტყმით ძალადობა განახორციელა ს---- ი-----–------ მიმართ, რომელმაც აღნიშნული ქმედების შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი. ასევე, ტ----- ს----------–– აგრძელებდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, იგინებოდა ხმამაღლა, დაამტვრია კლინიკის შესასვლელ კარზე განთავსებული მინები და ცდილობდა კვლავ ძალადობა განეხორციელებინა ს---- ი----–------ მიმართ, რა დროსაც, ხელის სხეულის სხვადასხვა ადგილზე დარტყმით ძალადობა განახორციელა შპს „----------–-----ს კლინიკის დაცვის სამსახურის თანამშრომლების - თ-------- რ----------–-- და გ------ - მ-----–---------– მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ ტ----- ს----------–-- დაწყნარებას და კონფლიქტის აღკვეთას. აღნიშნული ქმედებების შედეგად, თ-------- რ----------–-- და გ------- მ-----–---------– განიცადეს ფიზიკური ტკივილი. ასევე, დაახლოებით 30 წუთის მანძილზე, შპს „----------–-----ს კლინიკაში შეჩერებული იყო კლინიკის ფუნქციონირება.

ესე იგი, **ტ----- ს-------–---–--** ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული დანაშაულებრივი ქმედება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ბრალდებულმა - **ტ----- ს-------–---–--** მთლიანად სცნო თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

სახელმწიფო ბრალმდებელმა **ტ----- ს-------–---–--** მიმართ ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, ხოლო, დაცვის მხარემ ითხოვა

ბრალდებულის მიმართ ლმობიერი სასჯელის გამოყენება.

2020 წლის 15 აპრილს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამართულ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე და დაცვის მხარე შეთანხმდნენ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და აღნიშნული მტკიცებულებებით დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ. დაცვის მხარეს ბრალდების მხარის არც ერთი და არც ბრალდების მხარის მიერ აღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დასაშვებად იქნა ცნობილი, საქმის არსებით განხილვაზე და აღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, გამოკვლევის გარეშე, მიღებულ იქნა მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია. გარდა ამისა, წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ბრალდების მხარისა და ბრალდებულის მოსაზრებები, გაეცნო წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ბრალდების მტკიცებულებები საკმარისად მიიჩნია ვარაუდისათვის, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით ბრალდებულ **ტ----- ს-------–---–--** მიმართ გამოტანილი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენი.

ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გარდა ბრალდებულის აღიარებისა, სასამართლოს მიერ გაანალიზებული და შეფასებული იქნა რა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით დასაშვებად და უდავოდ ცნობილი მტკიცებულებანი, მიჩნეულ იქნა, რომ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება **ტ----- ს-------–---–--** მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის ფაქტი, კერძოდ, საქმის შესწავლის შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება **ტ----- ს-------–---–--** ბრალეულობა, კერძოდ:

შეტყობინება №549144 დანაშაულის ჩადენის შესახებ; გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, ფორმა №1; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; დადგენილებები ს---- ი----–------, გ------- მ----–––––––--ა და თ-------- რ----–––––––-- დაზარალებულად ცნობის შესახებ, დაზარალებულ ს---- ი----–------, გ------- მ-----–––––––--ა და თ-------- რ----–––––––-- გამოკითხვის ოქმები; მოწმეების - ვ------ ს-------, დ-------- ბ----------–––––--, ბ-–– გ----–––––--, ქ------- უ----–––––––--, ლ-- ბ----------–––––--, ც--

---- ა-------, ნ---– ბ----------– და ნ---- ბ----------– გამოკითხვის ოქმები; **ტ----- ს-------–---–--** დაკავების ოქმი; სსიპ ”ლ----------”-ს 2020 წლის 5 მარტის №001-881-0 სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ს---- ი-----------– მიმართ; სსიპ ”ლ----------”-ს 2020 წლის 5 მარტის №001586720 სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა თ-------- რ-------–---–-- მიმართ; სსიპ ”ლ----------”-ს 2020 წლის 5 მარტის №001-87720 სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გ------- მ---------–---–-- მიმართ; **ტ----- ს-------–---–--** მიერ უშუალოდ სასამართლო სხდომაზე დაფიქსირებული პოზიცია წარდგენილ ბრალთან დაკავშირებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ გამოკვლევის გარეშე მიღებულ იქნა მტკიცებულებად ერთობლიობაში ასაბუთებენ ბრალდებულ **ტ----- ს-------–---–--** მიმართ წარდგენილ ბრალდებას.

ამდენად, სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა რა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებანი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე, მათი ურთიერთშეჯერებითა და ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა უტყუარად არის დადასტურებული ბრალდებულის მიერ მის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, კერძოდ, დასტურდება ფაქტი იმისა, რომ **ტ----- ს-------–---–--** ჩაიდინა ხულიგნობა, ესე იგი, ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპასუხისმგებლობას, ჩადენილი ძალადობით. ასევე, ხულიგნობა, ესე იგი, ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპასუხისმგებლობას, ჩადენილი ძალადობით ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირების მიმართ.

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულ **ტ----- ს-------–---–--** პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ **ტ----- ს-------–---–--** პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია. ხოლო, რაც შეეხება მის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, განაჩენის გამოტანამდე, მისი მხრიდან არ განხორციელებულა და არ განმეორებული რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რაც გარკვეულწილად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ სამართალდამცავი

ორგანოების მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა გამოიღო შესაბამისი შედეგი. ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ დაზარალებულებს ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ **ტ----- ს----------** მიმართ სასჯელის მიზნების მიღწევას, კერძოდ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, სამართლიანობის აღდგენასა და ბრალდებულის შემდგომ რესოციალიზაციას, უზრუნველყოფს მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-20, 225-ე, 258-260-ე, 268-269-ე, 271-274-ე, 277-ე, 279-280-ე, 292-293-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ტ----- ს----------** ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 1 (ერთი) წლის ვადით, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, ხოლო, იმავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს - 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე.

2. **ტ----- ს----------** ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 3 (სამი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, ხოლო, იმავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს - 3 (სამი) წელი.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის

პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, **ტ----- ს----------** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 3 (სამი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, ხოლო იმავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს - 3 (სამი) წელი.

4. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, **ტ----- ს----------** სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო - 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 13 მარტის ჩათვლით.

5. გაუქმდეს **ტ----- ს----------** მიმართ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 4 მარტის განჩინებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში მოეხსნას ყადაღა ტ----- ს---------- პ/ნ №3----------, საკუთრებაში არსებულ ს---------, მ----- კ--------- ქუჩა N---ში მდებარე უძრავი ქონებას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №--.1-.1-.6---------- ნაკვეთის საკუთრების ტიპი - თანასაკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება - არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი - 725,50 კვ.მ. მისამართი - ს----------ს სკ--------- ქუჩა N--, ზონა ს---------- - 5-, სექტორი - ს---------- - 1-, კვარტალი - 1-, ნაკვეთი - 6--. კოდი 01/006; მესაკუთრე - ტ----- ს---------- /პ/ნ №3----------), შეფასებული 13472 (ცამეტი ათას ოთხას სამოცდათორმეტი) ლარად დაყადაღებულს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ნაწილში ტ----- ს---------- მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს - უზრუნველსაყოფად.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-66-ე მუხლების შესაბამისად, პირობითი მსჯავრის მოქმედების დროს მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარება დაევალოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის ნებართვის გარეშეც, მსჯავრდებულ **ტ----- ს----------** აეკრძალოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

7. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში მსჯავრდებულმა **ტ----- ს----------** დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე პრობაციის ბიუროს.

8. საქმეზე დართული ნივთმტკიცების ბედი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გადაწყდეს შემდეგნაირად, კერძოდ,

- 4 ცალი სისხლის მაგვარი ლაქა და ფანჯრიდან ამოღებული მინის ნამსხვრევები, რაც ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს

რაიონულ სამმართველოში, განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

9. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას.

10. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მისამართი – ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა), სიღნაღის რაიონული სასამართლოს (მისამართი – ქ. სიღნაღი, ც. დადიანის ქუჩა №15) მეშვეობით.

მოსამართლე: გიორგი ბუხრაშვილი